# საბანკო გარანტიის ხელშეკრულება №012/164 BG.C

ქ. თბილისი

04 მაისი 2011 წელი

შპს "სადაზღვევო კომპანია ვესტი" (შემდგომში გარანტი), წარმოდგენილი დირექტორის ა. ალექსიშვილის სახით ერთი მხრივ და **შპს " გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზა "** (შემდგომში პრინციპალი), მისი დირექტორის გ.თვალავაძის სახით, მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

## ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საფუძველს წარმოადგენს "პრინციპალის" ზეპირი ან წერილობითი განცხადება.

1.2. ხელშეკრულების შესაბამისად, პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული **მდინარეთა კალაპოტებისა და ნაპირების გამაგრებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურებს სამუშაოების** უზრუნველყოფის მიზნით, გარანტი პრინციპალზე გასცემს შესაბამის საბანკო გარანტიას ბენეფიციარის სასარგებლოდ **თანხაზე 1750 ლარი.**

1.3. განსახორციელებელი საგარანტიო მომსახურებისათვის პრინციპალი გარანტს უხდის გარანტიის საზღაურს **150 ლარი.** საზღაურის გადახდა ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღის ვადაში. პრინციპალის მიერ საზღაურის გადახდის ვალდებულება ძალაშია მიუხედავად იმისა, გამოყენებულ იქნება თუ არა გარანტია რაიმე ფორმით.

1.4. საბანკო გარანტია ძალაშია მხოლოდ გარანტიის საზღაურის სრულად გადახდის დღიდან და მოქმედებს **2011 წლის 31 დეკემბრამდე.** ბენეფიციარის საბანკო გარანტიით გათვალისწინებული წერილობითი მოთხოვნა გარანტს შეიძლება წარედგინოს მხოლოდ აღნიშნული ვადის განმავლობაში.

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. <u>გარანტი ვალდებულია:</u>

2.1.1. პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის საფუძველზე, ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნით, გადაუხადოს თანხა საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის ფარგლებში. მოთხოვნის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. დაუშვებელია მოთხოვნის ფაქსის ან ელექტრონული ფორმის მეშვეობით წარმოდგენა. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს, რით გამოიხატა პრინციპალის მიერ იმ ვალდებულებების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია, აგრეთვე თანხის ოდენობა, რომელსაც ბენეფიციარი ითხოვს გარანტისგან. შეტყობინებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

2.1.1.1. ხელშეკრულება პრინციპალთან;

2.1.1.2. მოთხოვნილი თანხის ოდენობის განმსაზღვრელი დამადასტურებელი საბუთები;

2.1.1.3. პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი საბუთები (წერილები, აქტები და ა.შ.);

2.1.1.4. გარანტიასთან დაკავშირებული სხვა საბუთები (მათი არსებობის შემთხვევაში).

2.1.2. ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ პრინციპალს და გადასცეს ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის ასლი.

2.1.3. უარი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბენეფიციარს და პრინციპალს, თუ ბენეფიციარის მოთხოვნა არ შეესაბამება გარანტიის პირობებს ან იგი წარდგენილია გარანტიით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ.

2.2. <u>გარანტი უფლებამოსილია:</u>

2.2.1. მოსთხოვოს პრინციპალს ბენეფიციარის მიმართ ძირითადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულება.

2.2.2. მოსთხოვოს პრინციპალს გარანტიის საზღაურის გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და ვადებში.

2.2.3. არ დააკმაყოფილოს ბენეფიციარის მოთხოვნა პრინციპალის მიერ ანგარიშსწორების ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

2.2.4. არ დააკმაყოფილოს ბენეფიციარის მოთხოვნა, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენის ვადები დარღვეულია ან თანდართული დოკუმენტები არ ადასტურებს მოთხოვნის საფუძვლიანობას, არ შეესაბამება გარანტიის პირობებს და/ან გარანტს მოთხოვნა წარედგინა გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ.

2.2.5. რეგრესის წესით მოსთხოვოს პრინციპალს იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიის საფუძველზე, იმ შემთხვევაშიც როდესაც თანხა ბენეფიციარს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ აუნაზღაურდა ან/და გარანტმა დაარღვია ბენეფიციარის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები.

2.2.6. პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, აცნობოს კრედიტ-ინფოს, საბანკო-საკრედიტო და სადაზღვევო დაწესებულებებს პრინციპალის არასაიმედო რეპუტაციის შესახებ.

2.3. <u>პრინციპალი ვალდებულია:</u>

2.3.1. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს გარანტისა და ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.

2.3.2. გადაუხადოს გარანტს გარანტიის საზღაური წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და ვადებში.

2.3.3. დააკმაყოფილოს გარანტის რეგრესული მოთხოვნა იმ თანხაზე, რომელიც გარანტის მიერ აუნაზღაურდა ბენეფიციარს წინამდებარე საბანკო გარანტიის საფუძველზე, იმ შემთხვევაშიც როდესაც თანხა ბენეფიციარს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ აუნაზღაურდა ან/და გარანტმა დაარღვია ბენეფიციარის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები, რისთვისაც პრინციპალი კისრულობს შემდეგ ვალდებულებას: საბანკო გარანტიის გაცემიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღისა გარანტის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთოს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

2.3.4. პრინციპალი კისრულობს ვალდებულებას რეგრესული მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს გარანტს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გარანტის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. დაუყოვნებლივ შეატყობინოს გარანტს ბენეფიციარის მიმართ ძირითადი ვალდებულების შესრულება დადასტურებული წერილობითი ფორმით.

2.4. <u>პრინციპალი უფლებამოსილია</u> მოითხოვოს გარანტისგან წინამდებარე საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება.

## 3. დავა და ზიანის ანაზღაურება

3.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა გარანტის გადაწყვეტილებით სასამართლოს ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით.

3.2. გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნა პრინციპალის მიმართ მიექცევა მთლიანად პრინციპალის ქონებას, რაზეც პრინციპალმა არ უნდა განაცხადოს არანაირი პრეტენზია.

## 4. ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:
4.1.1. მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;
4.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლა;
4.1.3. მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;
4.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

## 5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები, ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებამდე, დროებით თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ხემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი გახდა ფორს-მაჟორული გარემოება, რომელიც ბენეფიციარის და ან პრინციპალის მიერ გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიებით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, ტერორისტული აქტით, საქართველოს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ქმედებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და ა.შ.
5.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება.

## 6. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და „კომერციული ბანკების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17-ე მუხლის შესაბამისად, პრინციპალი წინასწარ, უპირობოდ აცხადებს წერილობით თანხმობას და გარანტს - შპს სადაზღვევო კომპანია „ვესტი"-ს ანიჭებს სრულ უფლებამოსილებას, იყოს პრინციპალის უფლებამოსილი წარმომადგენელი და ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულებისაგან, საგადასახადო ორგანოსაგან, საბანკო დაწესებულებისაგან თუ სხვა ფიზიკური ან/და იურიდიული პირისაგან, ნებისმიერ დროს გამოითხოვოს და მიიღოს „პრინციპალთან" დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო/საბანკო საიდუმლოება) მათ შორის:
6.1.1. „პრინციპალის", როგორც გადასახადის გადამხდელის შესახებ სრული ინფორმაცია, რომელიც ინახება შესაბამის საგადასახადო ორგანოში;
6.1.2. ინფორმაცია „პრინციპალის" საბანკო ანგარიშების არსებობის, მათი რეკვიზიტების, ამ ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრების და მათი მოძრაობის შესახებ;
6.1.3. სხვა ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელსაც "გარანტი" ჩათვლის საჭიროდ „პრინციპალის" გადახდისუნარიანობის ან/და ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად.
6.2. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ და ცნობად იღებენ იმ ფაქტს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. პუნქტში განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში გარანტი წარმოადგენს პრინციპალის უფლებამოსილ წარმომადგენელს და მას ყოველგვარი შეფერხებისა და დაყოვნების გარეშე უნდა გადაეცეს ხელშეკრულების 6.1. პუნქტში მითითებული ინფორმაცია.
6.3. ხელშეკრულების განმარტებისათვის ხელშეკრულების მუხლების სათაურებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება.
6.4. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
6.5. ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელია ყველა შეტყობინება განხორციელდეს წერილობითი ფორმით ან დაზღვეული ფოსტის საშუალებით მხარეთა იურიდიული მისამართის მიხედვით.
6.6. საგარანტიო მოთხოვნა გარანტის მიერ მიიღება მხოლოდ ბენეფიციარის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ხელმოწერით. გარანტის საფუძველზე მოთხოვნის სხვა პირთათვის დათმობა არ დაიშვება.
6.7. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის გაუქმება არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას.
6.8. ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემათ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა მხარეთა შორის წერილობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა გარანტს, მეორე კი – პრინციპალს.
6.10. ხელშეკრულების საფუძველზე ბენეფიციარისათვის წარსადგენად გაიცემა საბანკო გარანტიის ამონაწერი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და მას დამოუკიდებელი იურიდიული ძალა არ გააჩნია.
6.11. საბანკო გარანტიის გაცემის საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-890 მუხლები.

## 7. მხარეთა რეკვიზიტები

**გარანტი**

შპს „სადაზღვევო კომპანია ვესტი"
ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №29
ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის №5
ს.ს „თიბისიბანკი", მარჯანიშ. ფილ.
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE98TB1191236080100001/ ლარი
ს/კ 206144331

დირექტორი ა. [illegible]

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებას ხელი მოაწერა პრინციპალის უფლებამოსილმა პირმა ჩემი თანდასწრებით

სადაზღვევო აგენტი

**პრინციპალი**

შ.პ.ს „ გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზა"

ქ.თბილისი სანაპიროს ქ№4
სს "საქართველოს ბანკი" ცენტ.ფილიალი
ბ/კ BAGAGE22
ა/ა 901 363 700
ს.კ 205 267 227

ტელ: 899-76-77-02

დირექტორი გ. [illegible]